

სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ
გივი ლობჯანიძის

2021 წლის საკუთარი საქმიანობის ანგარიში

შპს გურამ
თავართქილაძის
სახელობის
თბილისის
სასწავლო
უნივერსიტეტი

არსებობს ანგარიშის შედეგის გარკვეული სტანდარტები, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს ინდიკატორების შესაბამისად ან სამუშაო აღწერილობის ფორმატიდან, რადგანაც ბრძანებაში არ იყო მითითებული რაიმე სტანდარტების დაცვა, ამიტომ ანგარიშების გაკეთების თავისუფალ ფორმას ვირჩევთ. გამომდინარე სამსახურებრივი კომპეტენციების დაცვით და მის ფარგლებს გარეთაც.

ცნობილია, რომ დეკანის სახელო კანონმდებლობით და უნივერსიტეტის დებულებით ითვლება ადმინისტრაციულ თანამდებობად და უნივერსიტეტის რექტორატის დირექტივების შესასრულებლად ვგეგმავთ ყოველდღიურ და გრძელვადიან საქმიანობას.

ერთი შეხედვით, თითქოს წვრილმანია; დეკანატში საქმის წარმოება, მხედველობაში მაქვს ფინანსური საკითხების მოწესრიგებაზე ზრუნვა, პირველადი დოკუმენტების მოძრაობა, ცნობების, დახასიათების, მიმართვების, სამსახურებში რეკომენდაციების გაცემა, სტუდენტთა პრაქტიკაზე გაშვების ორგანიზება, ყოველდღიურ პრობლემებთან დაკავშირებით ინფორმაციების მიღება და კავშირი ოჯახებთან, სხვადასხვა უწყებებთან და ა.შ.

დეკანისათვის პრიორიტეტულია, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის სამსახურთან, სპეციალისტებთან, აკადემიურ პერსონალთან ერთად სასწავლო პროცესის გაუმჯობესება და სასწავლო პროგრამებზე სისტემატიური მუშაობა, სილაბუსების განახლება, ახალი ლიტერატურის გამოცემაზე თვალყურის დევნება, მათი შეძენა და ა.შ.

სამართალი რეგულირებადი სფეროა, ამიტომ ხშირად მოითხოვს დოკუმენტაციაში ცვლილებებს, აკრედიტაციის სამსახურის მოთხოვნათა გათვალისწინებას წარსადგენ ყოველწლიურ ანგარიშებზე მუშაობას (ამჟამად ვადგენთ ანგარიშს, რომლის წარდგენის ვადაა მაისის დასაწყისი).

დეკანის, ანუ ჩემი მოვალეობაა, ვიზრუნო აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისა და ჩატარებული ლექციების ხარისხის ამაღლებისათვის. ამის მისაღწევად ვთანამშრომლობ უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან და მონიტორინგის ჯგუფთან, მათგან ვიღებ ყოველდღიურ ინფორმაციას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის და ჩატარებული ლექციების თაობაზე.

ქ-ნი ელის უნივერსიტეტში მოსვლის შემდეგ გააქტიურდა უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლების ღონისძიებანი (თუმცა ამას ადრეც ვცდილობდით), დაიგეგმა საინტერესო შეხვედრები სხვადასხვა სფეროში წარმატებულ ადამიანებთან, უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელდა აბიტურიენტებისათვის ორი დიდი პროგრამა, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღო სამართლის ფაკულტეტმა და პირადად მეც, როგორც დეკანმა.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში ჩაწერილია, როგორც ერთ-ერთი წარმატებული უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც პასუხობს

თანამედროვე მოთხოვნებს, აქვს კარგი მატერიალური ბაზა, ჰყავს ცნობილი მეცნიერების კოჰორტა, ვისაც უყვარს ახალგაზრდობასთან მუშაობა და თავისი პროფესია, რაც უნივერსიტეტისათვის ერთ-ერთი აქტივია შეფასებისათვის. რაკი აკადემიურ პერსონალს შევეხე, აღვნიშნავ, რომ 20 პროფესორისაგან შემდგარი კოლექტივით (პროფ. 6, ასოც. 9, არააფილ. 2, ასოც. 2, მოწ. 1, 3 დამხმარე პერსონალი) ვამაყობ, ყველა მათგანს კარგად ვიცნობ და მიხარია მათ გვერდით საქმიანობა.

პროფესორებისათვის და ჩემთვის ღირსების საქმეა, სტუდენტებთან მუშაობის პროცესი. მე იურისტობის გარდა საუნივერსიტეტო განათლებით პედაგოგი, პრაქტიკული გამოცდილების განათლების სისტემის მუშაკი გახლავართ, რაც მეხმარება ჩემი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გადავცე მომავალ იურისტებს, რომლებიც დასაქმდებიან ქვეყნის სამართლებრივ, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში (ჩვენი კურსდამთავრებულები მრავლად მუშაობენ სხვადასხვა სამსახურებში). საბაკალავრო პროგრამას გადის 135 სტუდენტი, ხოლო სამაგისტრო პროგრამა – 81 სტუდენტი. ეს რაოდენობა იძლევა იმის საშუალებას, ყველას იცნობდე და ეფექტურად გამოიყენო ინდივიდუალური მიდგომის მეთოდები. ვცდილობთ, გავზარდოთ არა მარტო კარგი იურისტები, არამედ სამშობლოზე, სიკეთეზე შეყვარებული ადამიანები, რომლებიც „ეროვნული ნიადაგის“ პოზიციებიდან დააკმაყოფილებენ ევროპულ სტანდარტებს.

ეს კი მოითხოვს ინტერნაციონალიზაციის გაფართოვებას, რაც პირადად მე გაცნობიერებული მაქვს და ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში ვცდილობ შევიტანო წვლილი. ფაკულტეტს საქმიანი ურთიერთობა აქვს რამდენიმე ქვეყნის უნივერსიტეტების სამართლის ფაკულტეტებთან (გერმანია, პოლონეთი, უკრაინა და ა.შ.). მიუხედავად პანდემიისა, მიმდინარე წლის აპრილში შევძელით ჩაგვეტარებინა (ჩემი ინიციატივით) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია უცხო ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

თებერვლის თვეში მონაწილეობა (ონლაინ რეჟიმით) მივიღე უკრაინაში საავიაციო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციაში, რისთვისაც გადმომეცა შესაბამისი სერთიფიკატი. გარდა ამისა, ინგლისურ ენაზე გამოვაქვეყნე კიევის საავიაციო უნივერსიტეტის საკმაოდ მაღალი დონის საერთაშორისო ჟურნალში სტატია კოსმოსურ სამართალში.

ჩემი რედაქტორობით ფაკულტეტი გამოსცემს ჟურნალს „ცხოვრება და კანონი“, სადაც იბეჭდება ადგილობრივი უნივერსიტეტის პროფესორთა, მაგისტრანტების, დოქტორანტების სტატიების გარდა, უცხო ქვეყნების ავტორთა ნაშრომები.

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა საერთაშორისო ჟურნალებში „იურისტი“, „იურიდიული მაცნე“ გამოვაქვეყნე ორი სტატია. გარდა ამისა, 2021 წელს ჩემი ავტორობით გამოიცა ორი მონოგრაფია, „დიდი ნიკო ნიკოლაძე“ და „შესავალი სამართალმცოდნეობაში“. ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა ბეჭდავს სახელმძღვანელოს „სახელმწიფო სამართალს“, გარდა ამისა, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა „ქართული დიპლომატია“

წელიწლეულში დაიბეჭდა ჩემი ნაშრომი სათაურით „საერთაშორისო ურთიერთობები ევროპულ-ქართული სამართლის წყაროთა კონტექსტში“.

დასახელებული წიგნების პრეზენტაციები გაიმართა გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, გიორგი კვეციტაძის, ვიცეპრეზიდენტის როინ მეტრეველის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მწერალ რევაზ მიშველაძის, სოსო სიგუას და სხვათა მონაწილეობით, რაც გამუქდა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით.

ნაშრომს, „დიდი ნიკო ნიკოლაძე“, საპატრიარქოს ტელეარხმა „ერთსულოვნებამ“ სპეციალური გადაცემა მიუძღვნა და ჩემი ინტერვიუ სამჯერ გადაიცა ტელევიზიით.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ოპონირება გავწიე ორ სადოქტორო დისერტაციაზე, ვხელმძღვანელობ 1 დოქტორანტს, ვთანამშრომლობ კიევის საავიაციო უნივერსიტეტის საკვლევ-სამეცნიერო ცენტრთან. აღსანიშნავია გაეროს ექსპერტთან ადამიანის უფლებების სფეროში საერთაშორისო სამართლის სფეროში მოღვაწე პროფესორ ასლან აბაშიძესთან ერთად გამოვეცით სახელმძღვანელო სათაურით „დიპლომატიური და საკონსულო სამართალი“, რომლის პრეზენტაცია ასევე ჩატარდა უნივერსიტეტში, აღნიშნული წიგნის ანალოგი საქართველოში დღემდე არ გამოცემულა.

ამასთანავე მოგახსენებთ, რომ ფაკულტეტის საბჭოზე განსახილველად შემაქვს რიგი საკითხები. 2021 წელს ჩემი თამჯდომარეობით ჩატარდა 17-მდე საბჭოს სხდომა, რომლის სამუშაო დღის წესრიგები დაფიქსირებულია შესაბამისი ოქმებით. საბჭოს სხდომაზე მტკიცდება ორივე საფეხურის სტუდენტთა სადიპლომო ნაშრომების თემები. გარდა ამისა, მიმყავს სალექსიო კურსი იმ დისციპლინებში, რომლებშიც დაწერილი მაქვს სახელმძღვანელოები, მაგალითად: ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, შესავალი სამართალმცოდნეობასა და სამართლის ფილოსოფიაში, რომის სამართალში, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში, ადამიანის უფლებათა სამართალში.

მიუხედავად პანდემიისა და შექმნილი მძიმე მდგომარეობისა, საანგარიშო პერიოდში ჩემს მიერ ადგილი არ ჰქონია ჯანმითელობის გაუარესების ან სხვა მიზეზით ლექციის, სამუშაო დღის ან რექტორთან ჩატარებული ყოველკვირეული თათბირის გაცდენას.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის რექტორის ოფიციალური დავალებით და ინფორმირებით მონაწილეობა მივიღე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილი დროებითი კომისიების მუშაობაში, მონაწილეობას ვღებულობ საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ მოწყობილ სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლის წევრიც გახლავართ. ჩვენი სასწავლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო გეგმაში შევიტანეთ არჩევითი ახალი სასწავლო დისციპლინა „ჩინეთის სახელმწიფო და სამართალი“, შევადგინე შესაბამისი სილაბუსი და ვფიქრობთ

სახელმძღვანელოს მომზადებაზეც, მსგავსი სასწავლო დისციპლინა არამგონია ჰქონდეს რომელიმე უმაღლეს სასწავლებელს. ვცდილობ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ფაკულტეტზე არსებული ტექნიკური საშუალებანი (კრიმინალისტიკური ლაბორატორია, რომლის შექმნაში ჩემი წვლილიც დიდია, იურიდიული კლინიკა და იმიტირებული სასამართლო).

რამდენადაც სასწავლო სემესტრი ჯერ კიდევ არაა დამთავრებული, დაგეგმილ ღონისძიებათა ნაწილი დღესაც შეუსრულებელია და, ალბათ, სრულყოფილ ანგარიშს სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ წარმოგიდგენთ.

ჩემს ანგარიშს სრულყოფილების პრეტენზია არ გააჩნია და თქვენს მიერ გამოთქმულ შენიშვნებს გავითვალისწინებთ მომავალში.